დამტკიცებულია

შპს ამერიკული საერთაშორისი სკოლა

პროგრესის დირექტორის 2 ივლისის 2024 წელი

ბრძანებით 1/27

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა

პროგრესის

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი

თბილისი

მუხლი 1. შესავალი

1. შეფასების სისტემის შიდა შემოწმება (შემდგომში – ვერიფიკაცია) არის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს შემადგენელი ნაწილი, რომლის დანერგვის მიზანია, შპს ამერიკულმა საერთშორისო სკოლა ,,პროგრესმა" (შემდგომში "სკოლამ") დაადასტუროს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები – ზუსტი.

2. სკოლა ვალდებულია შემოწმების პროცესი განახორციელოს სწავლების ყველა საფეხურზე. შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) სისტემა ამოწმებს რამდენად ზუსტად **იგეგმება** და **ხორციელდება** შეფასება და რამდენად **ზუსტი** და **სამართლიანია** ის. ვერიფიკაციის სისტემა არის **დახმარებაზე** ორიენტირებული პროცესი. ის მოიცავს სხვადასხვა ეტაპს, რომელთა მიზანია:

- შიდა შეფასების ჩატარება და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემდგომი განვითარება;
- მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან;
- მასწავლებელთა მუშაობის ხარისხის მონიტორინგი;
- მასწავლებელთა საჭიროების იდენტიფიცირება და მათი შესაბამისი განვითარება;
- ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად;
- ხარისხის გარე უზრუნველყოფის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მუხლი 2. ვერიფიკაციის პრინციპები

1. მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) ვალიდურობას;

ბ) სანდოობას;

გ) გამჭვირვალეობას;

დ) სამართლიანობასა და ობიექტურობას.

2. შეფასების სისტემა **ვალიდურია,** თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე, შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

3. შეფასების სისტემა **სანდოა,** თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.

4. შეფასების სისტემა **გამჭვირვალეა,** თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა მოსწავლისათვის

5. შეფასების სისტემა **სამართლიანია,** თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს მოსწავლეს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის,– შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე, თუ შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

6. შეფასების სისტემა **ობიექტურია,** თუ ყველა მოსწავლე ერთნაირი შესრულების პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

მოსწავლის შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის (მაგ. მოსწავლისათვის მიცემული ესე, პროექტი, პრეზენტაცია, ტესტი, ლაბორატორიული კვლევა, რეფერატი, ამოცანის ამოხსნა და ა.შ)

ვერიფიკაცია;

- მოსწავლისათვის მიცემული დავალების შესრულების პროცესის (ფაქტობრივი გარემოებები, მიცემული დრო, გარემო, წინასწარ ინფორმირება და ა.შ) ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების (მოსწავლის მიერ შესრულებეული ტესტის, დავალების, პროექტის, ნაშრომის და ა.შ) ვერიფიკაცია.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციისთვის სკოლამ შესაძლებელია გამოიყენოს სხვადასხვა მექანიზმები. მათ შორის, მოსწავლეთა შეფასებისა და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დიაგნოსტიკური წერების ჩატარება ან სემესტრული გამოცდის ჩატარება, როდესაც მოსწავლეს შეუძლია მოითხოვოს სემესტრული ნიშნის ამაღლება თუ მიღებული ქულა არ აკმაყოფილებს.

მუხლი 3. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირები

1. შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) პროცესში ჩართულნი არიან: ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები, რომლებიც არიან ვერიფიკატორები და საგნის მასწავლებელი. ვერიფიკაციის პროცესს კოორდინირებას უწევს სასწავლო პროცესის მენეჯერი.

- **2. სასწავლო პროცესის მენეჯერი:**
  - უზრუნველყოფს, რომ ვერიფიკაციის პროცედურები მოქმედებდეს სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა საგნისათვის;
  - კოორდინირებას უწევს კადრების შემდგომი გადამზადება/განვითარების პროცესს, რომელიც ეფუძნება ვერიფიკატორებისაგან მიღებულ ინფორმაციას საგნის მასწავლებლის იდენტიფიცირებული საჭიროებების შესახებ;
  - კოორდინირებას უწევს ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვას;
  - უზრუნველყოფს შიდა ვერიფიკატორებისათვის მეთოდური მითითებების მიცემას;
  - უზრუნველყოფს შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) პროცესის მონიტორინგსა და აუდიტს;
  - ახორციელებს ვერიფიკაციის სისტემის ყოველწლიურ მიმოხილვას/შეფასებას;

- **3. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერისა ჯგუფი:**
- ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრავს განრიგს სასწავლო წლის განმავლობაში განსახორცილებელ ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებით. აღნიშნულ განრიგში ეთითება ვერიფიკაციის განხორციელების სავარაუდო პერიოდი და ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები.

4. ვერიფიკატორი კონკრეტული საგნისთვის:

- ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტების ((მაგ: მოსწავლისათვის მიცემული ესე, პროექტი, პრეზენტაცია, ტესტი, ლაბორატორიული კვლევა, რეფერატი, ამოცანის ამოხსნა და ა.შ) ვალიდურობასა და სანდოობას;
- არჩევს შეფასების ნიმუშებს შეფასების პროცესის მონიტორინგის მიზნით;
- ამოწმებს შემფასებლის მიერ მიღებულ შეფასების გადაწყვეტილებებს;
- ახდენს შემფასებლების სასწავლო საჭიროებების იდენტიფიკაციას და მიღებულ ინფორმაციას აწვდის სასწავლო პროცესის მენეჯერს შემდგომი რეაგირებისათვის.

ვერიფიკატორებს არ შეუძლიათ შეამოწმონ საკუთარი შეფასებითი გადაწყვეტილებები, ან მათი ვისთანაც აქვთ ინტერესთა კონფლიქტი;

5. მასწავლებელი

მასწავლებელი, რომელიც ასწავლის კონკრეტულ კლასს და რომელიც უშალოდ ახორციელებს შეფასებას:

- ქმნის შეფასების ინსტრუმენტს;
- აფასებს მოსწავლეს და აგროვებს მოსწავლის ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტაციას;
- შეფასებასთან დაკავშირებით იღებს სამართლიან გადაწყვეტილებებს;
- შეფასების შემდეგ იძლევა მკაფიო და კონსტრუქციულ უკუკავშირს და მითითებებს;
- მოსწავლის მიღებულ შეფასებებს ასახავს ელექტრონულ ჟურნალში.

მუხლი 4. ვერიფიკაციის პროცესი და მისი ფარგლები

1. შეფასების ვერიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს:

- ✔ **დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე;**
- ✔ **შერჩევითი პრინციპით**(თუ გარკვეული პრობლემა გამოიკვეთა რომელიმე საგანში);
- ✔ **გეგმიურად** – შიდა ვერიფიკაციის მიზნებისთვის, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრება რომელ საგნებსა და კლასებში მოხდება გეგმიური ვერიფიკაცია. გეგმიური ვერიფიკაციისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დიაგნოსტიკური წერები და შემაჯამებელი დავალებები.

2. ზოგადად, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს სკოლაში შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) შეფასების ინსტრუმენტის შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით;
ბ) მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება;
გ) მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება;
დ) მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება;
ე) შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება;
ვ) შეფასების დროის საკმარისობის შეფასება;
ზ) შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება;
თ) შეფასების პროცესის სხვა ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;
ი) მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით.

მუხლი 5. ვერიფიკაციის ეტაპები

ვერიფიკაცია მოიცავს სამ ეტაპს:

⇒ შეფასების დაგეგმვა

⇒ შეფასება

⇒ უკუკავშირის მიწოდება

ეტაპი 1 – შეფასების დაგეგმვა

პირველ ეტაპზე დეტალურად დაიგეგმება შეფასების პროცესი. მოხდება მომზადებული შეფასების ინსტრუმენტების (შემაჯამებელი დავალებების/დიაგნოსტიკური წერის) ვერიფიკაცია.
ვერიფიკაციის გეგმა მოიცავს შეფასების სავარაუდო პერიოდს.

ეტაპი 2 – შეფასება
მასწავლებლის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალების/დიაგნოსტიკური წერის შეფასების შემდეგ, ვერიფიკატორი არჩევს და განიხილავს შეფასების ნიმუშებს. ვერიფიკატორი იღებს კლასის საერთო რაოდენობის მინიმუმ 20%-ს და შედეგებს განაზოგადებს.
ვერიფიკატორი პირველ რიგში ამოწმებს არსებობს თუ არა ყველა მოსწავლის შეფასების მტკიცებულება.
მოსწავლეთა ნამუშევრები შეირჩევა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

ეტაპი 3 – უკუკავშირის მიწოდება შემფასებლებისათვის ვერიფიკაციის დასრულებისას ვერიფიკატორი უზრუნველყოფს მასწავლებელთან (შემფასებელთან) უკუკავშირს – შეხვედრას. სასურველია, რომ ვერიფიკატორის მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციები უკავშირდებოდეს როგორც შეფასების პროცესის დახვეწას და შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესებას, ისე იმ სფეროების გამოვლენას, რომლებშიც საგნის მასწავლებელს სჭირდება გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლება.
შემფასებელი მასწავლებლისთვის უკუკავშირის მიცემის მიზანია შეფასების ხარისხის გაუმჯობესება. ყველა ხარვეზი, რომელიც ვერიფიკატორმა გამოავლინა, მომდევნო შეფასებისთვის სასურველია გამოსწორდეს. იმ შემთხვევაში თუ ვერიფიკატორი თვლის, რომ ჩატარებული შეფასების პროცესის გაუმჯობესებისათვის/დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად აუცილებელია დამატებითი აქტივობების განხორციელება, ის შეიმუშავებს და გასცემს შესაბამის ზეპირ რეკომენდაციებს.

მუხლი 6. ვერიფიკაციის შერჩევის სტრატეგია

შერჩევითი ვერიფიკაციისას არ არის საჭირო, რომ ყველა მოსწავლის ნამუშევარი იქნას განხილული. თუმცა, საჭირო საკმარისი რაოდენობის ნიმუშების შერჩევა იმისათვის, რომ დადგინდეს, თუ რამდენად თანამიმდევრულ შეფასებას აკეთებენ მასწავლებლები და რამდენად იცავენ ისინი სტანდარტებს. მაგრამ, თუ ვერიფიკატორი შეფასების პროცესში დააფიქსირებს გარკვეულ შეუსაბამობას ანდა ხარვეზებს სტანდარტის დაცვასთან დაკავშირებით, შესაძლებელია, რომ შეფასებისთვის გაიზარდოს შერჩევის მოცულობა.

შერჩევისას, გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი:

- ✔ შემოწმებისთვის აღებული ნიმუშები უნდა მოიცავდეს მოსწავლის ნამუშევარს, რომელმაც მიიღო მაღალი შეფასება და რომელმაც მიიღო დაბალი შეფასება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ✔ სასურველია, რომ შერჩევაში შედიოდეს ორივე გენდერის წარმომადგენელი (თუ კი შესაძლებელი იქნება).

მუხლი 7. ვერიფიკაციის დოკუმენტაცია

1. ვერიფიკაციის პროცესის ყოველი ეტაპი უნდა იყოს დოკუმენტირებული. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერისა ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ოქმებისა და აქტების შემუშავება.
2. სკოლის დირექტორსა და სასწავლო პროცესის მენეჯერს უნდა ჰქონდეს შიდა ვერიფიკაციის ჩანაწერებზე ხელმისაწვდომობა, რათა შესაძლებელი იყოს ვერიფიკაციის ეფექტურობის მონიტორინგი და სისტემაში ჩართული მხარეებისათვის უკუკავშირის უზრუნველყოფა.
3. ვერიფიკაციის პროცესის აღმწერი დოკუმენტები საიმედოდ იქნება დაცული სკოლაში. მისი შენახვა ხდება 3 წლის ვადით

მუხლი 8. ვერიფიკაციის მარეგულირებელი წესის მიღება და მასში ცვლილების შეტანა

1. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესს შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.
2. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.